საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 0 20 00402670

22/05/2020

“კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის 2009 წლის 25 დეკემბრის N3/204 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 5 ივლისი 2018 წ. N3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 22 მაისის N399963 და კულტურის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 22 მაისის N402452 მოხსენებით ი ბარათების გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება “კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილის 2009 წლის 25 დეკემბრის N3/204 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9		ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის და კარიბჭის ქუჩების კვეთა

	მცხეთის კარიბჭე-არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი (კარიბჭე, ყოფილი კინოთეატრი, შადრევანი)	

2. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი